# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
# ქ. თბილისი

MES 8 21 0000018704

21/01/2021

**ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

**1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) $27^2$ მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო)სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის $3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის $3^1$ პუნქტისა და „აკრედიტაციის დებულების“ $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან

მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

## 2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 15 ივნისს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი №466562 ,,მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 1 ივლისს № 547082 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ -საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 10 აგვისტოს № 678516 (ცვლილება: 1054521 30.10.2020) ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 2 და 3 ნოემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2020 წლის 14 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| **სტანდარტები** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| 4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |
| 5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

2.3.საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 24 დეკემბერს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

**3. სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 15 ხმით 0 წინააღმდეგ,

**გადაწყვიტა:**

1.დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ ,,მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 21 იანვრის №18701 სხდომის ოქმის № 1 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები.

**რეკომენდაციები:**

ა) მიზანშეწონილია პროგრამის ქვემოთ მოცემული შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონესთან და ფორმულირდეს სხვაგვარად:

-კურსდამთავრებულს შეუძლია სამშენებლო უბანზე ზედამხედველობისა და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება.

-კურსდამთავრებულს შეუძლია შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება.

-„კურსდამთავრებულს შეუძლია ნაგებობის ექსპერტიზის ჩატარებისას, ან ობიექტზე პრობლემის წარმოქმნისას სიტუაციის გაანალიზება და სწორი დასკვნის გამოტანა“.

-„კურსდამთავრებულს შეუძლია როგორც დაპროექტებისას, ასევე პროექტის განხორციელებისას ალტერნატიული გზების განსაზღვრა და მიღებული გადაწყვეტილებების ვერბალურად და წერილობით კომუნიკაცია, მათი დასაბუთება და დაცვა“.
ბ) თვითშეფასების დოკუმენტში მისანიჭებელი კვალიფიკაცია გაწერილია შემდეგი ფორმულირებით - „მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი“, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამაში შემდეგი ფორმულირებით - „ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში“. მიზანშეწონილია პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.
გ) ბაკალავრიატის და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მუხლი 1-იდან ამოღებული ქნეს 1.4 პუნქტი „საბაკალავრო პროგრამაზე 120 ECTS კრედიტის მიღების შემდეგ, სტუდენტს, მოთხოვნის შემთხვევაში, ეძლევა შუალედური კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი“.
დ) იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც მოიცავს პროექტირებას, მიზანშეწონილია სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თემატიკასთან. კერძოდ პრაქტიკულ მეცადინეობებში აისახოს პროექტირების საკითხები. (სასწავლო კურსის სილაბუსში „ქვისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები 2“).
ე) მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგი „კურსდამთავრებულს შეუძლია შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება“ შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის „წყალმომარაგება და წყალარინება“ შედეგებთან. სასწავლო კურსის სილაბუსის მიზნებსა და შედეგებში არარის გაწერილი პროექტირების საკითხები.
ვ) მიზანშეწონილია „საველე პრაქტიკის“ სასწავლო კურსში გასწორდეს აღწერითი ნაწილი-„ბიზნეს გეგმების შექმნაში დახმარება და უფასო იურიდიული დახმარების გაწევა ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ბიზნეს ორგანიზაციებისთვის“. აღნიშნული აქტივობების განსახორციელებლად საჭირო ცოდნა და უნარები საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტს ვერ ექნება.
ზ) სამშენებლო კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული ქნეს, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია და რა ვადით, პრაქტიკისა და სხვა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად.

**რჩევები:**

ა) სასურველია სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო კონფერენციებში. სხვადასხვა უნივერსიტეტებში ტარდება ინჟინერიის (მათ შორის მშენებლობის) მიმართულებით სამეცნიერო კონფერენციები, სადაც მემორანდუმის საფუძველზე ან მის გარეშე შესაძლებელია სტუდენტთა ჩართვა და მონაწილეობის მიღება.
ბ) სასურველია გაიზარდოს სამშენებლო კომპანიების/საწარმოების რაოდენობა სტუდენტთა პრაქტიკის გავლის მიზნით.
გ) სასურველია, დაწესებულებამ თვითშეფასების ანგარიშის პირველი და მეორე სტანდარტის გასაუმჯობესებელი მხარები განსაზღვროს სტანდარტების კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად.
დ) სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის სასწავლო კურსებში გათვალისწინებულ იქნეს ისეთი საკითხები, როგორიცაა - ხარჯთაღრიცხვების წარმოება, ფორმა 2-ის შევსება. ასევე, სასურველია შეთავაზებულ იქნეს დამატებით სხვა უცხოური ენების სწავლება (რუსულ ენაზე არსებული ნორმატიული დოკუმენტაციის გამოყენების მიზნით), რომლის ცოდნის მოთხოვნაც არის დასაქმების ბაზარზე.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 24 დეკემბერს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის $24^1$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა